გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსი“-ს აქციონერებს

2023 წლის 22 დეკემბრის დღის 15 საათზე ქ. ბათუმში, კომახიძის ქ. #119-ში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს იურიდიულ მისამართზე: ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. #119, IV სართული, სააქტო დარბაზი) გაიმართება სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს აქციონერთა რიგითი საერთო კრება, შემდეგი დღის წესრიგით:

1. 2022 წლის აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების განხილვისა და დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
2. სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2024 წლის ხარჯების საპროგნოზო მონაცემების (ბიზნეს-გეგმის) დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
3. სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2023 წლის ფინანსური ანგარიშის შემოწმებაზე აუდიტორის დანიშვნის შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
4. აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდის პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს წყალმომარაგების საწარმოების კონცეფციის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთივე (ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს) მუნიციპალიტეტში სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს მიერ დაფუძნებული ახალი წყალმომარაგებისა და წყალარინების საწარმოების (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების (შპს-ს)) დაფინანსების შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
5. სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
6. სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს სადამფუძნებლო შეთანხმებისა და წესდების „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს მიერ მომსახურეობის შესყიდვის შესახებ.

სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს აქციონერთა რიგითი საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დადგინდეს 2023 წლის 7 დეკემბერი;

აქციონერთა რეგისტრაცია იწარმოებს დღის 14 საათიდან.

კრებაში მონაწილეობის უფლებისა და თქვენს განკარგულებაში არსებული ხმების რაოდენობის დადგენის შესახებ შეგიძლიათ მიმართოთ სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორს“ შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 74ა; ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის 11 (საკონტაქტო პირი - ლუიზა ჩიკაშუა, ტელეფონის ნომერი: 599 15-88-06).

სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორს გააჩნიათ შემდეგი სახის რეკომენდაციები (გადაწყვეტილების პროექტები):

A. აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

- დამტკიცდეს სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2022 წლის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილი სახით;

B. აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

- დამტკიცდეს სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2024 წლის ხარჯების საპროგნოზო მონაცემები (ბიზნეს-გეგმა) წარმოდგენილი სახით;
- სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს 2024 წლის ხარჯების საპროგნოზო მონაცემები განისაზღვროს 13,000,000 (ცამმეტი) ლარით (**შენიშვნა:** უნდა აღინიშნოს რომ, 13,000,000 მილიონი ლარიდან პროექტით გათვალისწინებული გადასახადელი თანხა (მათ შორის, დღგ) შეადგენს მხოლოდ 7,751,140 ლარს, რაც პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე არის მცირე თანხა და გასათვალისწინებელია შემდგომში აღნიშნული თანხის ზრდის აუცილებლობა);

C. აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

- დაევალოს სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს დირექტორს 2023 წლის ფინანსური ანგარიშის შემოწმებაზე აუდიტორული მომსახურეობის შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების კანონის“ შესაბამისად;

D. აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:

- ვინაიდან სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, რომელიც ფაქტიურად ამ ეტაპზე უზრუნველყოფს როგორც თავისი, ასევე დაფუძნებული საწარმოების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების გაწევას (სამუშაოს აქტიურ ფაზაში შესვლამდე), აუცილებლობას წარმოადგენს განისაზღვროს აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, რა ფორმით განხორციელდება სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს მიერ დაფუძნებული ახალი საწარმოების დაფინანსება, რათა დამოუკიდებლად შეძლონ აღნიშნულმა საწარმოებმა ოპერირება.
- აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია აქციონერების მიერ გამოიხატოს თანხმობა, რათა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ და სს „აჭარის წყლის ალიანს“-მა ზემოაღნიშნული დაფინანსების საკითხი, აქციონერების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მოიყვანონ კანონმდებლობის ფარგლებში.

E. აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით:

- სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს სამეთვალყურეო საბჭოში არჩეულ იქნას შემდეგი წევრები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან ....., ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტიდან ვიცე მერი ლევან დავითაძე და ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე;

F. აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით:

- დაევალოს სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს დირექტორს სადამფუძნებლო შეთანხმებისა და წესდების „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განახორციელოს მომსახურეობის შესყიდვა;

სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსი“-ს დირექტორატი